ბილინგვალურ პროგრამაში ჩართული ბავშვების შფოთვის დონის კვლევა

ლარისა ვაჩნაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა იმედაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი-ემერეტუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული და ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

10.06.14 ლარისა ვაჩნაძე

1.1 აბსტრაქტი

მიზანი: ამ ნაშრომის მიზანი იყო ბილინგვიზმსა და სასკოლო შფოთვის დონეს შორის კავშირის არსებობის დადგენა და მონოლინგვა და ბილინგვა ბავშვებში სასკოლო შფოთვის დონის განსაზღვრა.

მეთოდი: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 276 7–10 წლის მონოლინგვა, ბილინგვა და ტრილინგვა ბავშვმა (153 ბიჭი და 123 გოგონა),მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებმა საქართველოს ქვემო–ქართლის რეგიონიდან (ექვსი ქ.მარნეულის საჯარო სკოლა და ერთი სოფ. წერეთელის საჯ.სკოლა). კვლევაში გამოყენებულია „სასკოლო მშფოთვის დიაგნოსტიკის პროექციული მეთოდიკა“, პრიხოჟანი (1980–1982).

შედეგები: შფოთვის დონის შედარებამ მონოლინგვა და პოლილინგვა ბავშვების (ბი– და ტრილინგვა) შორის აჩვენა, რომ ბილინგვალური მიდგომის დროს უმცროსკლასელთა შფოთვის დონე უფრო მაღალია, ვიდრე მონოლინგვალური მიდგომის დროს.
დასკვნა : ბილინგვიზმსა და სასკოლო შფოთვის დონეს შორის არსებობს კავშირი– ბილინგ ბავშვებს უფრო მაღალი სასკოლო შფოთვის დონე ახასიათებთ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბილინგვიზმი, მონოლინგვიზმი, შფოთვა, ბილინგვალური პროგრამები.